

თავი 1

პროგრამასთან მუშაობის სწრაფად დაწყების სახელმძღვანელო

სისტემის დანიშნულებაა ორგანიზაციის საბუღალტრო და სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვის სრული ავტომატიზაცია. სისტემა მოქნილია და იოლად მოერგება თქვენი ფირმის საქმიანობას.

სისტემასთან მუშაობის სწრაფად ასათვისებლად ერთ-ერთი სავაჭრო ფირმის მაგალითზე განვიხილოთ პროგრამის შესაძლებლობები.

დავუშვათ, ჩამოყალიბდა ფირმა შპს „დარიალი“, რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6000 ლარს. ბანკში შეტანილი იქნა თანხა - 4000 ლარი, ხოლო სალაროში - 2000 ლარი. (1-ლი ოპერაცია).

ორგანიზაცია შედგება 2 თანამშრომლისგან: დირექტორი - ვ.ზ.თარხნიშვილი და მთ.ბუღალტერი - ი.კ.ლომიძე, რომელთაც ერიცხებათ ხელფასი შესაბამისად - 240 ლარი და 150 ლარი.

ორგანიზაციას ყავს მომწოდებელი: შპს „განთიადი“ და რეალიზატორი შპს „მედია“.

დავუშვათ, 6.06 - ში მომწოდებლისგან შპს „განთიადი“ ორგანიზაციამ შეიძინა 3 ცალი ფაქსი - 750 ლარად და 2 ცალი პრინტერი - 1600 ლარად დღე - ს გარეშე, უნაღდო ანგარიშსწორებით, მთლიანი თანხიდან იმ დღესვე დაფარული იქნა მხოლოდ 2000 ლარი, ხოლო 350 ლარი ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს 20 დღის განმავლობაში. (მე-2 ოპერაცია).

12.06 - ში გაიყიდა 1 ცალი პრინტერი - 850 ლარად, ნაღდი ანგარიშსწორებით. (მე-3 ოპერაცია).


18.06 - ში რეალიზატორმა წაიღო 2 ცალი ფაქსი - 580 ლარად, შემდგომი გადახდით. (მე-4 ოპერაცია).

24.06 - ში ორგანიზაციამ დაფარა მომწოდებლის ვალი - 773 ლარი. გამოიწერა შესაბამისი საგადასახადო დავალება. (მე-5 ოპერაცია).

თვის ბოლოს თანამშრომლებზე დაირიცხა კუთვნილი ხელფასები, შესრულებული იქნა დარიცხვის შესაბამისი გატარებები და გაიცა პერსონალზე ხელფასები. (მე-6 ოპერაცია).


ხელფასის დათვლის და გაცემის შემდეგ ორგანიზაციამ საგადასახადო ინსპექციაში წარსადგენად მოამზადა ფიზიკურ პირებზე დავალებული სამემოსავლო გადასახადის ყოველთვიური განგარიშება. (მე-7 ოპერაცია).



ესლა ვნახოთ, როგორ შეიძლება სისტემის მეშვეობით შპს “დარიალი” - ს ოპერაციების შესრულება, ხელფასის დათვლა, პირველადი დოკუმენტებისა და უწყისების ბეჭდვა და მათი შესრულების შემდეგ მიღებული შედეგების ნახვა, საცდელი ბალანსის და მოგება-ზარალის უწყისის შედგენა.


სისტემაში შესასვლელად “Desktop” – ზე აირჩიეთ -  და დააჭირეთ “Enter” – ს ან “თავი” – ს მარცხენა ლილავს ორჯერ (ან მოიქცით ისე როგორც აგისნინან სისტემის ავტორები). იხილავთ ეკრანს:





დააჭირეთ “OK” - ს ან “Enter” - ს (თქვენთვის სასურველი პაროლის მითითებას შესძლებთ სისტემაში შესვლის შემდეგ მენიუში “ფაილისპაროლის შეცვლა”). სისტემაში შესვლისას იხილავთ ეკრანს:





ამ ეკრანში და პროგრამის სხვა დანარჩენ ეკრანებშიც, ველებს შორის გადაადგილებას შესძლებთ “Tab” ლილავის ან “თავი” - ს საშუალებით. სისტემაში ქართულ შრიფტზე გადასასვლელად ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში აირჩიეთ კლავიატურის გადამრთველი ნიშანი - . (კლავიატურის გადამრთველის დაინსტოლირება აღწერილია თავში “პროგრამის ინსტოლაცია” გვ.4). იხილავთ პატარა ეკრანს , სადაც აირჩიეთ “Finnish”. ამის შემდეგ თქვენ შესძლებთ ქართული ტექსტის აკრეფას. შეავსეთ ორგანიზაციის რეკვიზიტები, მაგ. შემდეგნაირად:




ბანკის რეკვიზიტების დასამატებლად ეკრანის მარჯვენა მხარეს აირჩიეთ ლილავი -  “დამატება”. იხილავთ ეკრანს, სადაც უნდა დაამატოთ თქვენი ბანკის რეკვიზიტები და ანგარიში:




დააჭირეთ ლილავს - , რის შემდეგაც გახვალთ პროგრამაში არსებულ ბანკების სიაზე, სადაც ჩვენნი მაგალითისთვის მონიშნეთ ბანკი

“საქართველოს აგრობიზნესბანკი” და აირჩიეთ იგი ღილაკით -  . დაინახავთ, რომ ამ ბანკის ყველა რეკვიზიტი ჩაჯდება შესაბამის ველებში. შემდეგ ველში “ორგანიზაციის ანგარიში”, აურიფეთ მაგალითად, 3612001304. უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:




დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ სისტემის პარამეტრების ეკრანის მარჯვენა ნაწილში დაემატება ორგანიზაციის მომსახურე ბანკი ყველა რეკვიზიტით და აგრეთვე, ანგარიში ამ ბანკში:



შენიშვნა: თუ თქვენს ორგანიზაციას ბანკებში გახსნილი აქვს რამოდენიმე ანგარიში. აქვე შეგიძლიათ დაამატოთ სხვა ანგარიშებიც. რაც დაწვრილებით განხილულია მე-2 თავში “ახალი ორგანიზაციის შექმნა”.

დააჭირეთ “**OK**” - ს. იხილავთ ძირითად ეკრანს :



ეკრანზე ჩანს ძირითადი მენიუ: **ფაილი, რედაქტირება, ოპერაციები, ფონდები, ხელფასი, Window, Help**. მის ქვემოთ განლაგებულია ღილაკები. თუ თქვენ, ისარს გააჩერებთ რომელიმე მათგანზე, ცოტა ხანში გამოჩნდება მისი შინაარსი. ღილაკის არჩევა შესაძლებელია მასზე “თავი” - ს მარცხენა ღილაკის დაჭერით. ძირითადი მენიუს ქვემოთ ჩანს თუ რომელი საანგარიშო პერიოდით ხორციელდება ოპერაციები სისტემის მიერ (დაწვრილებით ამ პერიოდის დანიშნულება აღწერილია მე-4 თავში “საოპერაციო და ანალიზური პერიოდები”).

ესლა შევასრულოთ შპს “დარიალი” - ს პირველი ოპერაცია, ანუ როდესაც ბანკში შეტანილი იქნა 4000 ლარი, ხოლო სალაროში - 2000 ლარი.

უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დ.კ. N	დებიტი	კრედიტი	თანხა	საფუძველი
1	1210	5150	4000 GEL	თანხის ბანკში შეტანა
2	1110	5150	2000 GEL	თანხის სალაროში შეტანა

შენიშვნა: თუ თქვენს ორგანიზაციას ემსახურება რამოდენიმე ბანკი, მაშინ 1210 ანგარიშზე მიზანშეწონილი იქნება გახსნათ ბანკის სახეობის ანგარიშები. რაც დაწვრილებით განხილულია მე-3 თავში “ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტარტო ნაშთების დასმა”.

გატარებების შესასრულებლად აირჩიეთ ღილაკი “გატარებები” -




(**Ctrl + 2**). იხილავთ ეკრანს :




ყოველი ახალი გატარების დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს -

“დამატება” იხილავთ ეკრანს :




ყოველი გატარების დამატების დროს, ველში “თარიღი”, მითითებული იქნება კომპიუტერის მიმდინარე თარიღი. შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



მეორე გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს -

და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



დააჭირეთ “OK” - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ 2 გატარებას:




როგორც ეკრანზე ხედავთ ორივე გატარების საკრედიტო ნაწილში მონაწილეობს ერთი და იგივე ანგარიში. პროგრამაში არსებობს ე.წ. T გატარების მცნება, რომლის საშუალებითაც ასეთი სახის გატარებების შესრულება შეიძლება ბუნებრივი სახით.


მოდით, ეს შემთხვევა განვიხილოთ შპს “დარიალი” - ს შემდეგი ოპერაციის მაგალითზე.

როგორც გახსოვთ ორგანიზაციას ყავს მომწოდებელი შპს “განთიადი”, რომლისგანაც 6.06 - ში შეიძინა 3 ცალი ფაქსი - 750 ლარად და 2 ცალი პრინტერი - 1600 ლარად დღგ - ს გარეშე.





ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა ორგანიზაციების სიაში დავამატოთ შესაბამისი მომწოდებელი, ხოლო სასაქონლო სიაში შესაბამისი საქონელი და გავხსნათ ანგარიშები, რისი გაცეთებაც შესაძლებელია უშუალოდ გატარების შესრულების დროსაც. უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:


დოკ. N	დღეები	კრედიტი	რაოდენობა	თანხა	საფუძველი
3	1610	3110	3 ცალი	750 GEL	შეძენილია მომწოდებლისგან ფაქსი
3	1610	3110	2 ცალი	1600 GEL	შეძენილია მომწოდებლისგან პრინტერი
3	3340	3110		423 GEL	დოკ. N3, დღგ



გატარებების ეკრანში დააჭირეთ ღილაკს -  "ოპერაციის დამატება Ctrl+Ins". იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე მარტივი გატარების დამატება. დაუშვებელია ერთდროულად რამდენიმე სადებეტო და საკრედიტო ანგარიშის გამოყენება და ოპერაციაში მონაწილე ერთადერთი ანგარიში, რომელსაც რამდენიმე ანგარიში ეკორესპოდენტება, უნდა დაემატოს პირველ რიგში. ჩვენი შემთხვევისთვის ასეთი ანგარიშია - 3110.


რადგანაც ორგანიზაციამ მომწოდებლისგან საქონელი შეიძინა 6.06 - ში, ამიტომ ველში "თარიღი"  ან  ღილაკების გამოყენებით აირჩიეთ შესაბამისი თარიღი. შემდეგ ავრიფეთ დოკ.ნომერი - 3, საფუძველი - **შეძენილია მომწოდებლისგან**. დააჭირეთ დამატების ღილაკს -  დანახავთ, რომ გააქტიურდება ველი "ანგარიში", სადაც ავრიფეთ 3110 და დააჭირეთ ამ ველში მოთავსებულ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:



ამ ეკრანში 3110 ანგარიშს უნდა გაუხსნათ ორგანიზაციის სახეობის ანგარიში დასახელებით შპს "განთიადი", ამისათვის, დააჭირეთ დამატების ღილაკს -  , იხილავთ ანგარიშის დამატების ეკრანს, სადაც ველში "სახეობა"  - ღილაკის საშუალებით აირჩიეთ "ორგანიზაციის":



რის შემდეგაც პროგრამა გაგიყვანთ ორგანიზაციების სიაზე:



აქ უნდა დაამატოთ თქვენი მომწოდებელი. ამისათვის, ეკრანის ზედა ნაწილში გამოიყენეთ დამატების ღილაკი და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:

დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ სიამი დაემატება შპს "განთიადი" სით მომდევნო კოდით - 3. ხოლო ეკრანის ქვედა ნაწილში შესაბამისი ლილავით დაამატეთ ამ ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიში ამ ბანკში. შევასეთ მოცემული ეკრანი მაგალითად შემდეგნაირად:


დააჭირეთ **OK** - ს. შემდეგ აირჩიეთ ახლად დამატებული ორგანიზაცია **OK** - ლილავის საშუალებით. იხილავთ ეკრანს:

როგორც ეკრანზე ხედავთ გაიხსნება ორგანიზაციის სახეობის ანგარიში 3110 3 დასახელებით - შპს "განთიადი". დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ გახსნილი ანგარიში დაემატება ანგარიშთა გეგმაში, რომელიც აირჩიეთ **OK** - ლილავის საშუალებით. რის შემდეგაც დაბრუნდებით ოპერაციის დამატების ეკრანში. ანუ პროგრამა საშუალებას გაძლევთ უშუალოდ ოპერაციის შესრულების დროს დაამატოთ გატარებისთვის საჭირო სახეობის ანგარიში:


ანგარიში	დასახელება	მდებარეობა	კურობი	ვალ. კურსი	ქრონოგრაფი	ხელმოწერა	ხელმოწერის თარიღი	კომპანია	გვერდი
3110 3	შპს "განთიადი"		GEL	1.00000000			მომხმარებელი	შპს "განთიადი"	3

რადგანაც 3110 ანგარიში საკრედიტოა და შპს "განთიადი" - სთვის გადასახდელი მთლიანი თანხაა - 2773 (750+1600+423(დღგ)) ლარი, ველში "კრედიტი" ავრჩიეთ შესაბამისი რიცხვი და დააჭირეთ **Enter** - ს. შემდეგი ჩანაწერის დასამატებლად კვლავ დააჭირეთ დამატების ლილავს. გააქტიურებულ ანგარიშის ველში ავრჩიეთ 1610 და დააჭირეთ ამ ველში მოთავსებულ ლილავს - **OK**. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ანგარიშთა გეგმის ეკრანს, სადაც 1610 ანგარიშს უნდა გაუხსნათ სასაქონლო სახეობის ანგარიში დასახელებით "ფაქსი". ამისათვის, მონიშნეთ ეს ანგარიში და დააჭირეთ დამატების ლილავს. იხილავთ


თქვენთვის ნაცნობ ანგარიშის დამატების ეკრანს, სადაც ველში "სახეობა" აირჩიეთ - **სასაქონლო**. ამის შემდეგ პროგრამა გაეცვანთ სასაქონლო სიაზე:




ესლა უნდა დამატოთ საქონელი "ფაქსი". ამისათვის, დააჭირეთ დამატების ლილავს. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეაგეთ:



დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ დამატებული საქონელი გაჩნდება სიაში კოდით 00002. აირჩიეთ ეს საქონელი **OK** - ლილავის საშუალებით. შემდეგ ანგარიშის გახსნის ეკრანშიც დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ გახსნილი ანგარიში დაემატება ანგარიშთა გეგმაში, რომელიც აირჩიეთ - ლილავის საშუალებით. რის შემდეგაც დაბრუნდებით ოპერაციის დამატების ეკრანში.




როგორც ხედავთ, კურსორით ავტომატურად მოინიშნა ველი "დებიტი", სადაც ავრიფეთ - 750, ხოლო ველში "რაოდენობა" - 3. შემდეგი ჩანაწერის დასამატებლად კვლავ დააჭირეთ დამატების ლილავს და - ლილავის გამოყენებით ანგარიშის ველში დამატეთ სასაქონლო ანგარიში დასახელებით "პრინტერი", ზუსტად იგივე წესით როგორც ფაქსის შემთხვევაში. ხოლო შემდეგ დამატეთ დღე - ს გატარება. საბოლოოდ ოპერაციის ეკრანს ექნება შემდეგი სახე:




ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს.

როგორც გახსოვთ, ამავე დღეს მომწოდებელს ორგანიზაციაში გადაუხადა 2000 ლარი. ამ გატარების შესასრულებლად დააჭირეთ დამატების ლილავს - და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



დააჭირეთ **OK** - ს. ესლა ენახოთ როგორ აისახა ანგარიშებზე თქვენს მიერ შესრულებუ-

ლი გატარებები. ამის ნახვას შესძლებთ თუ აირჩევთ ლილავს -  "ანგარიშები Ctrl+I". იხილავთ ანგარიშთა გეგმას:

ანგარიში	სახელი	დასაბუღება	მონაცემები	რაოდენობები	პალატი	
			დამაბი	კორიბი	დამაბი	კორიბი
1000	აბგ	მიმდინარე აკტივები				
1100	აბგ	ნაღდი ფული				
1110	აბგ	ნაღდი ფული სავაჭრო				
1120	აბგ	ნაღდი ფული უსაქონლო				
1200	აბგ	ფული საბანკო ანგარიშზე				
1210	აბგ	პროცენტული პალატი რაზმად				
1220	აბგ	უსაქონლო პალატი რაზმად				
1230	აბგ	უსაქონლო პალატი არარაზმად				
მიჯნა:		პალატი	0.00		0.00	

აქ ხდება ანგარიშებზე სასტატო ნაშთების დასმა, რომელიც დანერგებით განხილულია მე-3 თავში "ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტატო ნაშთების დასმა". აგრეთვე, ხედავთ ბარათებს: ნაშთები, ბრუნვები, ბარათი (კონკრეტული ანგარიშისთვის), სახეობები (ორგანიზაციის, სასაქონლო, თანამშრომლის, ბანკის სახეობის ანგარიშებზე მდგომარეობა), შედეგები (საცდელი ბალანსი, მოგება-ზარალი), რომლებიც დანერგებით განხილულია მე-6 თავში "კონტროლის და ანალიზის ინსტრუმენტები".

ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ ბარათი "ნაშთები". იხილავთ თქვენს მიერ შესრულებული გატარებების შედეგებს:

ანგარიში	სახელი	დასაბუღება	მონაცემები	რაოდენობები	პალატი	
			დამაბი	კორიბი	დამაბი	კორიბი
1000	აბგ	მიმდინარე აკტივები	8,350.00			
1100	აბგ	ნაღდი ფული	2,000.00			
1110	აბგ	ნაღდი ფული სავაჭრო	2,000.00			
1200	აბგ	ფული საბანკო	2,000.00			
1210	აბგ	პროცენტული პალატი	2,000.00			
1500	აბგ	საპროცენტო	2,350.00			
1610	აბგ	საპროცენტო	2,350.00			
1610 00002	აბგ	ზაბა	750.00	250.00	3,000.00	
1610 00003	აბგ	პროცენტი	1,600.00	800.00	2,000.00	
3000	აბგ	მიმდინარე პალატი	2,423.00		350.00	
3100	აბგ	მრავალპერიოდი	2,000.00		773.00	
3110	აბგ	მრავალპერიოდი	2,000.00		773.00	
3110 3	აბგ	მრავალპერიოდი	2,000.00		773.00	
3300	აბგ	საპროცენტო	423.00			
3340	აბგ	საპროცენტო	423.00			
5000	აბგ	საპროცენტო		6,000.00		6,000.00
5100	აბგ	საპროცენტო		6,000.00		6,000.00
5150	აბგ	საპროცენტო		6,000.00		6,000.00
მიჯნა:		პალატი	6,350.00		6,350.00	

როგორც ეკრანზე ხედავთ ანგარიშებზე ასახულია საბოლოო

ფინანსური და რაოდენობრივი მდგომარეობა. ამ ნაშთების გასაშიფრად შეგიძლიათ აირჩიოთ ბარათი "ბრუნვები". იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	სახელი	დასაბუღება	მონაცემები	რაოდენობები	პალატი	
			დამაბი	კორიბი	დამაბი	კორიბი
1000	აბგ	მიმდინარე აკტივები	8,350.00	2,000.00	6,350.00	
1100	აბგ	ნაღდი ფული	2,000.00		2,000.00	
1110	აბგ	ნაღდი ფული სავაჭრო	2,000.00		2,000.00	
1200	აბგ	ფული საბანკო	4,000.00	2,000.00	2,000.00	
1210	აბგ	პროცენტული პალატი	4,000.00	2,000.00	2,000.00	
1500	აბგ	საპროცენტო	2,350.00		2,350.00	
1610	აბგ	საპროცენტო	2,350.00		2,350.00	
1610 00002	აბგ	ზაბა	750.00		750.00	3,000.00
1610 00003	აბგ	პროცენტი	1,600.00		1,600.00	2,000.00
3000	აბგ	მიმდინარე პალატი	2,423.00	2,773.00	250.00	
3100	აბგ	მრავალპერიოდი	2,000.00	2,773.00	773.00	
3110	აბგ	მრავალპერიოდი	2,000.00	2,773.00	773.00	
3110 3	აბგ	მრავალპერიოდი	2,000.00	2,773.00	773.00	
3300	აბგ	საპროცენტო	423.00		423.00	
3340	აბგ	საპროცენტო	423.00		423.00	
5000	აბგ	საპროცენტო		6,000.00		6,000.00
5100	აბგ	საპროცენტო		6,000.00		6,000.00
5150	აბგ	საპროცენტო		6,000.00		6,000.00
მიჯნა:		პალატი	10,773.00	10,773.00	6,350.00	6,350.00


როგორც ეკრანზე ხედავთ, 1210 ანგარიშის მაგალითზე, საწყისი ნაშთი არ ყოფილა, იყო სადებეტო ბრუნვა 4000 ლარი, საკრედიტო ბრუნვა 2000 ლარი, ბრუნვის სხვაობა 2000 ლარი და შედეგად დარჩა საბოლოო სადებეტო ნაშთი 2000 ლარი. ხოლო თუ დაგაინტერესებთ ეს ანგარიში რომელ ანგარიშებთან იყო კორესპოდენციაში, რომელ თარიღში და რა თანხებით, ამისათვის, უნდა მონიშნოთ ეს ანგარიში და აირჩიოთ "ბარათი". იხილავთ ეკრანს:

თარიღი	დამაბი	მისი ანგარიში	დასაბუღება	მისი	ბრუნვა	ბრუნვა კორიბი	ნაშთი	ნაშთი კორიბი	საფუძველი
1.01.2006			საწყისი						
1.06.2006	1	5150	საპროცენტო	4,000.00			4,000.00		თანხა საპროცენტო
6.06.2006	4	3110 3	მრავალპერიოდი		2,000.00		2,000.00		გაბანკდასახული
1.01.2007			საბოლოო	4,000.00		2,000.00	2,000.00		

ესლა დაუბრუნდეთ შპს "დარიალი" - ს ოპერაციებს. როგორც გახსოვთ 12.06 - ში გაიყიდა 1 ცალი პრინტერი - 850 ლარად, ნაღდი ანგარიშსწორებით. მოდით შევასრულოთ საქონლის რეალიზაციის ოპერაცია და შესრულების პროცესში დავბეჭდოთ სალაროს შემოსავლის ორდერი.

უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დოკ. N	დღე	კრედიტო	რაოდენობა	თანხა	საფუძველი
5	7210	1610	1 ცალი	800 GEL	რეალიზებული პრინტი
5	1410	6110		850 GEL	შემოსავალი რეალიზაციიდან
5	1410	3330		153 GEL	დოკ. N5, დღე
6	1110	1410		1003 GEL	თანხის გადახდა რეალიზაციის მიერ


ამ გატარებების შესასრულებლად დაბრუნდით გატარებების შესრულების ეკრანში ლილავით -  და დაამატეთ ახალი გატარება,

რომლის ველები შეავსეთ შემდეგნაირად:

- დოკ. N - 5 ,
- თარიღი - 12.06,
- სადებეტო ანგარიში - 7210,
- საკრედიტო ანგარიში - 1610 00003,

დაინახავთ, რომ როგორც კი საკრედიტო ანგარიშის ველში მოხვდება სასაქონლო სახეობის ანგარიში, ეკრანზე გაჩნდება რაოდენობის ველი და თანხის გამოთვლის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება საქონლის თვითღირებულების გამოსათვლელად.


რაოდენობის ველში ავრიფეთ 1 და ჩვენი შემთხვევისთვის დააჭირეთ მეთოდს - FIFO. დაინახავთ, რომ პროგრამა ავტომატურად გამოითვლის ამ მეთოდის შესაბამის თანხას და ჩანერს შესაბამის ველში:


ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე ლილავს - , რომლის საშუალებითაც ამ და სხვა დანარჩენ ეკრანებშიც შეგიძლიათ ნახოთ ანგარიშზე მდგომარეობა. ჩვენი მაგალითისთვის თუ საკრედიტო ანგარიშის გასწვრივ დააჭერთ აღნიშნულ ლილავს, იხილავთ 1610 00003 "პრინტიერი"


ანგარიშზე მდგომარეობას:

დახურტეთ ეს ეკრანი **Cancel** ლილავის საშუალებით.


მომდევნო გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ლილავს -

 **შეშვება >>**. როგორც გახსოვთ სადებეტო ანგარიშში მონაწილეობს 1410, რომელსაც უნდა გაუხსნათ რეალიზაციის შპს "მედია" - ს ანგარიში. გახსენით ეს ანგარიში იგივე წესით, როგორც მომწოდებლის შპს "განთიადი" - ს შემთხვევაში. გაიხსნება ანგარიში - 1410 4 დასახელებით - შპს "მედია" და შეავსეთ გატარების დამატების ეკრანის ველები შემდეგნაირად:


კვლავ დააჭირეთ ლილავს -  **შეშვება >>** და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:



ეხლა შევასრულოთ რეალიზატორის მიერ სალაროში თანხის შემოტანის გატარება და ამავდროულად პროგრამას დავაბეჭდინოთ სალაროს შემოსავლის ორდერი. ამისათვის, კვლავ დააჭირეთ ღილაკს - და შევსეთ ველები შემდეგნაირად:




ეხლა სალაროს შემოსავლის ორდერის დასაბეჭდად მონიშნეთ ველი "ბეჭდება". ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი ველი "დოკუმენტის ფორმა", რომლის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში "Open" ღილაკის გამოყენებით გახსენით Pirveladi


formebi, ხოლო შემდეგ Sevsebuli. ეკრანზე იხილავთ პროგრამაში არსებულ პირველადი დოკუმენტების სიას, სადაც აირჩიეთ ბოლო ჩანანერი Salaros shemosavlis orderi. საბოლოოდ გატარების დამატების ეკრანს ექნება შემდეგი სახე:




დააჭირეთ OK - ს. იხილავთ ეკრანს:



როგორც ხედავთ, პროგრამამ შესრულებული გატარების მონაცემების მიხედვით ავტომატურად შეავსო სალაროს შემოსავლის ორდერი. თუ გსურთ ორდერის დაბეჭდვა, ამას შესძლებთ ამ ეკრანშიც და ყველა სხვა ეკრანებშიც ღილაკით - . ხოლო ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ

ლილავს -  ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:




მანქანის	თარიღი	საბუღალტრო	გატარება	თანხა	საბუღალტრო	თანხა	კომენტარი	კომპანი	გ/ბ	სამუშაო
1	1.06.2006	1210	3 5150	4,000.00 GEL	801 F1060	0	მონეტარული პასივა			
2	1.06.2006	1110	6 5150	2,000.00 GEL	801 F1060	0	მონეტარული პასივა			
3	6.06.2006	1610 00002	3 3110 3	750.00 GEL	1.00000000	3,000.00 GEL	801 F1060	0		
3	6.06.2006	1610 00003	3 3110 3	1,600.00 GEL		2,000.00 GEL	801 F1060	0		
3	6.06.2006	3340	3 3110 3	423.00 GEL			801 F1060	0		
4	6.06.2006	3110 3	3 1210	2,000.00 GEL			801 F1060	0		
5	12.06.2006	7210	3 1610 00003	800.00 GEL		1,000.00 GEL	801 F1060	0		
5	12.06.2006	1410 4	3 6110	850.00 GEL			801 F1060	0		
5	12.06.2006	1410 4	3 3330	153.00 GEL			801 F1060	0		
6	12.06.2006	1110	6 1410 4	1,003.00 GEL			801 F1060	0		


13,579.00 GEL

ამით დასრულდა პრინტირის რეალიზაციის ოპერაცია. ამ ოპერაციას დასჭირდა 4 გატარება. რომლებიც შესრულებულია ცალ-ცალკე, რაც საკმაოდ შრომატევადია და გატარების შესრულების დროს მომხმარებელი არ არის დაზღვეული შეცდომებისგან. პროგრამა საშუალებას გაძლევთ თავიდან აიცილოთ ეს პრობლემები. ამისათვის, პროგრამაში არსებობს ანუ ახალი ტიპური ოპერაციები. დაწვრილებით ამ ოპერაციების შესრულებისა და ახალი ოპერაციების ანუ ახალი ტიპური ოპერაციების ტექნიკა განხილულია მე-12 თავში "სამეურნეო ოპერაციები". ესეა კი შპს "დარიალი" - ს მომდევნო ოპერაციის მაგალითზე ვნახოთ, როგორ შეიძლება პროგრამაში ტიპური სამეურნეო ოპერაციის შესრულება.

როგორც ვახსოვთ, 18.06 - ში რეალიზატორმა წაიღო 2 ცალი ფაქსი - 580 ლარად შემდგომი გადახდით. უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დოკ. N	დებიტო	კრედიტო	რაოდენობა	თანხა	საფუძველი
ბბ-06 123456	7210	1610	2 ცალი	500 GEL	რეალიზებულია ფაქსი
ბბ-06 123456	1410	6110		580 GEL	შემოსავალი რეალიზაციიდან
ბბ-06 123456	1410	3330		104.40 GEL	დოკ. N5, დღგ

სამეურნეო ოპერაციების გამოძახება შესაძლებელია ლილავით -  "სამეურნეო ოპერაციების შესრულება/ანუ ანუ Ctrl+3". იხილავთ ეკრანს:





შეიარაღება | კომპანია |


- დახარჯვა/დასახელება
- ანგარიშსწორება/დახარჯვა
- შეიარაღება/კომპანია
- საბუღალტრო დოკ - 18%
- საბუღალტრო დოკ - 20%
- საბუღალტრო
- საბუღალტრო
- საბუღალტრო
- საბუღალტრო

კომპანია:

კომპანია: [საბუღალტრო]

მანქანის	თარიღი	კომპანი	შეიარაღება /	შეიარაღება	კომპანი
6.06.2006	801 F1060	1	საბუღალტრო	2,820.00 GEL	შეიარაღება/დახარჯვა
		31 10 3 33	"დარიალი"		საბუღალტრო

ეკრანის ზედა ნაწილში ჩანს პროგრამაში არსებული ტიპური ოპერაციები, ხოლო ქვედა ნაწილში გამოჩნდება როგორც სამეურნეო, ისე პროგრამის სხვა ეკრანებიდან (ხელფასი, ძირითადი საშუალებები, პირველადი დოკუმენტები) შესრულებული ოპერაციები. ამ მომენტისთვის ჩანს T-გატარებით შესრულებული საქონლის შექმნის ოპერაცია. როგორც ეკრანის ზედა ნაწილში ხედავთ ოპერაციები დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით, რაც აადვილებს საჭირო ოპერაციის პოვნას და რადგანაც შესასრულებელი ოპერაციაა - საქონლის რეალიზაცია, ოპერაციების სიაში უნდა მოძებნოთ ჩანანერი "საქონელი დღგ 18%". მონიშნეთ შესაბამისი ჩანანერი და დააჭირეთ ნიშანს - . ეკრანზე იხილავთ ამ ჯგუფში შემავალ ოპერაციებს, რომლებშიც ჩვენ გვჭირდება "რეალიზაცია". მონიშნეთ იგი და კვლავ დააჭირეთ ნიშანს - . იხილავთ ეკრანს:



შეიარაღება | კომპანია |

შეიარაღება/დახარჯვა


თარიღი: 8.06.2006


კომპანი: 801 F1060

შეიარაღება/დახარჯვა


შეიარაღება/დახარჯვა

შეიარაღება/დახარჯვა


ყოველი ოპერაციის შესრულება იწყება გატარების თარიღისა და პროექტის მითითებით. თარიღის ველში მიუთითეთ 18.06 და დააჭირეთ ლილავს -  "შეიარაღება", რომლის გამოყენებითაც პროგრამა გაძლევთ საშუალებას გადახვიდეთ დიალოგის შემდეგ ეკრანზე. ამ ეკრანში პროგრამა ითხოვს ანგარიშ-ფაქტურის ნომერს, რომელიც მომავალში ავტომატურად ჩაჯდება გატარებაში. შეავსეთ იგი შემდეგნაირად:




მომდევნო ეკრანში პროგრამა ითხოვს რეალიზატორის ანგარიშს:




როგორც გახსოვთ რეალიზატორის ანგარიში უკვე გახსნილია, რაც ნათლად ჩანს ეკრანზე, თუმცა ამავე ეკრანში შესაძლებელია ახალი ანგარიშების დამატებაც, თქვენთვის ნაცნობი ლილავის გამოყენებით. აირჩიეთ ანგარიში - 1410 4 და გადადით დიალოგის შემდეგ ეკრანზე, სადაც პროგრამა საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ გასაყიდი საქონელი:




აირჩიეთ "ფაქსი" და გადადით შემდეგ ეკრანზე, სადაც ნაჩვენებია იქნება ფაქსის ფასი (ეს არის ბრუნვის საბოლოო შედეგად მიღებული საშუალო ფასი). ამ ეკრანში უნდა მიუთითოთ საქონლის ერთეულის სარეალიზაციო ფასი. ჩვენთვის ეს თანხა იქნება $342.20 = 580 (2ც.ფაქსი) + 104.40 (დღგ) / 2$, რომელიც აკრიფეთ შესაბამის ველში:




შემდეგ ეკრანში პროგრამა მოგთხოვთ გასაყიდი საქონლის რაოდენობას, სადაც აკრიფეთ 2:




შესაბამისი ლილავით გადადით შემდეგ ეკრანზე:




როგორც ხედავთ პროგრამა გეკითხებათ არის თუ არა კიდევ გასაყიდი საქონელი. რაც ნიშნავს, რომ თუ რეალიზატორმა წაიღო რამოდენიმე დასახელების საქონელი, ამის შესრულება შეიძლება ერთი ოპერაციით და პროგრამა ავტომატურად შეასრულებს შესაბამის გატარებებს ყველა საქონლისთვის. ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც გაყიდულია მხოლოდ ერთი დასახელების საქონელი მონიშნეთ "არა" და გადადით შემდეგ ეკრანზე:



სადაც დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ლილავით. ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია:



რომლის ტექსტიდანაც ნათლად ჩანს შესრულებული ოპერაციის შინაარსი, ხოლო ოპერაციის გატარებებს ნახავთ თუ ამავე ეკრანში აირჩევთ ბარათს “გატარებები”:



როგორც ხედავთ, პროგრამამ ავტომატურად შეასრულა საქონლის რეალიზაციის შესაბამისი გატარებები და ავტომატურად ჩასვა გატარებებში შესაბამისი ველების მნიშვნელობები. რაც ძალზედ მარტივია და მოსახერხებელი და თავიდან აგაცილებთ შეცდომებს.

დაეუბრუნდეთ შპს “დარიალი” - ს ოპერაციებს. როგორც გახსოვთ, 24.06 - ში ორგანიზაციამ დაფარა მომწოდებლის ვალი - 773 ლარი. გამოინერა შესაბამისი საგადასახადო დავალება. უნდა შესრულდეს შემდეგი გატარება:

დღე	N	დებეტი	კრედიტი	თანხა	საფუძველი
7		3110	1210	773 GEL	გადახდილია მომწოდებლისთვის


ამ ოპერაციის შესრულება პროგრამაში შესაძლებელია სამი გზით:

1. გატარებების ეკრანში, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-3 ოპერაციის შესრულების დროს.
2. ტიპური სამეურნეო ოპერაციების დახმარებით. ამ ოპერაციის შესრულება შეიძლება ოპერაციით **მომწოდებლები/კრედიტორები - საქონ.სამუშ.მომსახურ.ღირებ.გადახდა(კრედიტორული დავალიანება)**. ასეთი შემთხვევაზე განვიხილეთ მე-4 ოპერაციის შესრულების დროს.
3. პირველადი დოკუმენტების შევსებით. განვიხილოთ ეს შემთხვევა. პროგრამაში არსებობს პირველადი დოკუმენტები, რომელთა შევსება შეიძლება როგორც უშუალოდ გატარების შესრულების დროს, რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-3 ოპერაციაში, ასევე პირველადი დოკუმენტების


ეკრანში, სადაც პირიქით ხდება, ივსება პირველადი დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ იწვევს საბუღალტრო გატარების შესრულებას მაშინვე ან მოგვიანებით.

პირველადი დოკუმენტების ეკრანის გამოძახებას შესძლებთ ლილავით

-  იხილავთ ეკრანს:





როგორც ხედავთ, ამ ეკრანზე მოცემულია პირველადი დოკუმენტების ჩამონათვალი. თავიდანვე გააქტიურებულია ბარათი “საგადასახადო დავალება”, რომელიც საჭიროა ჩვენი შესასრულებელი ოპერაციისთვის. ახალი დავალების დასამატებლად დააჭირეთ **Insert** - ს ან თქვენთვის ნაცნობ დამატების ლილავს. იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ, ფორმაში ავტომატურად ჩაჯდა გადახდილი ორგანიზაციის რეკვიზიტები. ეს რეკვიზიტები მოვიდა სისტემის პარამეტრებიდან, რომლებიც პროგრამის გახსნის დროს თავიდანვე იქნა შეტანილი. მომავალშიც ყოველი ახალი პირველადი დოკუმენტის დამატებისას თქვენი ორგანიზაციის რეკვიზიტები შეივსება ავტომატურად. მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ დავალებას


ავტომატურად მიენიჭა ნომერი - 1. ყოველი ახალი დოკუმენტის დამატებისას პროგრამა ავტომატურად მიანიჭებს მას მომდევნო ნომერს. თარიღის ველში აქვს, ისევე როგორც სხვა ეკრანებში ავტომატურად ვდება კომპიუტერის მიმდინარე თარიღი. ჩვენი მაგალითისთვის მიუთითეთ 24.06.


მიმღები ორგანიზაციის მითითება შეიძლება სამი მეთოდით: 1. ხელით შეავსოთ ყველა ველი, რაც საკმაოდ შრომატევადია. 2. აირჩიოთ (აქვე შეიძლება ახლის დამატებაც) ორგანიზაციების სიიდან ლილავით - . 3. აირჩიოთ ანგარიშთა გეგმიდან, თუკი ანგარიშთა გეგმაში გახსნილია ამ ორგანიზაციის დასახელების ანგარიში, ლილავით - .


ჩვენი მაგალითისთვის ისარგებლეთ მე-3 მეთოდით, რადგანაც საგადასახადო დავალებას უნდა მოყვეს შესაბამისი გატარება. აირჩიეთ ანგარიში 3110 3 შპს "განთიადი". დაინახავთ, რომ მიმღები ორგანიზაციის რეკვიზიტებიც ჩაჯდება შესაბამის ველებში. შემდეგ ავრიფეთ თანხა - 773 და დააჭირეთ Tab - ს, დაინახავთ, რომ პროგრამა ავტომატურად ჩასვავს თანხას სიტყვიერად შესაბამის ველში. საბოლოოდ დავალების ეკრანს ექნება შემდეგი სახე:

ამით დასრულდა ფორმის შევსება. ეხლა იმისათვის, რომ დოკუმენტმა გამოიწვიოს გატარების შესრულება, საჭიროა მონიშნოთ ველი "შევასრულოთ გატარებები". ეკრანზე იხილავთ დამატებით ველებს:



როგორც ეკრანზე ხედავთ, გატარების ზოგიერთი ველი ავტომატურად შეივსო საგადასახადო დავალების მიხედვით. მიუთითეთ გატარების შესაბამისი თარიღი და საკრედიტო ანგარიშში  - ლილავის დახმარებით აირჩიეთ 1210.


შევსებული დოკუმენტის დაბეჭდვა შეიძლება ეხლავე ან მოგვიანებით, ბეჭდვის  - ლილავით. საგადასახადო დავალებას ექნება სახე:

დასურეთ ეკრანი ლილავით - . პროგრამა დაგაბრუნებთ საგადასახადო დავალების ფორმაში, სადაც დაასრულეთ ოპერაცია OK - ს საშუალებით. დაინახავთ, რომ ფორმა დაემატება დოკუმენტების სიაში:




თარიღი	N	ბალანსირება	ბალანსირების სახელი	ბიზნესი	ბიზნესის სახელი	თანხა	საბუღალტრო	ბალანსირების საბუღალტრო
24.06.2006	1	3.36	ზარდახედი	კ. ბიზნესის სა.ჯაჯა	3.36	ზარდახედი	773.00	207034795

ამით დასრულდა შპს “დარიალი” - ს მე-5 ოპერაცია. პროგრამის სხვადასხვა ეკრანებში შესრულებული ოპერაციების გატარებები საბოლოოდ თავს იყრის ძირითადი გატარებების ეკრანში. ამაში დარწმუნდებით თუ დაბრუნდებით გატარებების ეკრანში ლილავით - . იმისათვის, რომ ეკრანზე გამოჩნდეს სრული ინფორმაცია დააჭირეთ ლილავს -  “ეკრანის განახლება (Refresh) - F9”. ეკრანზე იხილავთ პროგრამაში სხვადასხვა მეთოდით შესრულებულ გატარებებს:





ბალანსირება	თარიღი	საბუღალტრო	ბალანსირების სახელი	თანხა	კალა	კომი	ბალანსირება	ბიზნესი	ბიზნესის სახელი	სრული	ბიზნესი	საბუღალტრო
2	1.06.2006	1110	5-5150	ს	2,000.00	GEL		80.01060	0	0	0	0
3	4.06.2006	1610.00002	5-3110.3	3	750.00	GEL	1,000,000.00	2,000	ბაზო	80.01060	0	0
3	6.06.2006	1610.00003	5-3110.3	3	1,650.00	GEL		2,000	ბაზო	80.01060	0	0
3	6.06.2006	2040	5-3110.3	3	423.00	GEL		80.01060	0	0	0	0
4	6.06.2006	3110.3	5-1210	3	2,000.00	GEL		80.01060	0	0	0	0
5	12.06.2006	7210	5-1610.00003	3	800.00	GEL		1,000	ბაზო	80.01060	0	0
5	12.06.2006	1410.4	3-6110	3	850.00	GEL		80.01060	0	0	0	0
5	12.06.2006	1410.4	3-3330	3	153.00	GEL		80.01060	0	5	0	0
6	12.06.2006	1110	5-1410.4	3	1,003.00	GEL		80.01060	0	0	0	0
88-06.1	18.06.2006	7210	5-1610.00002	3	500.00	GEL		2,000	ბაზო	80.01060	4	0
88-06.1	18.06.2006	1410.4	3-6110	3	580.00	GEL		80.01060	0	0	0	0
88-06.1	18.06.2006	1410.4	3-3330	3	104.40	GEL		80.01060	0	0	0	0
1	24.06.2006	3110.3	5-1210	3	773.00	GEL		80.01060	0	0	0	0

როგორც ეკრანზე ხედავთ, ზოგიერთ გატარებას თარიღის ველში უზის ნიშანი - , რაც ნიშნავს, რომ ეს გატარებები შესრულებულია პროგრამაში არსებული ერთ-ერთი ოპერაციის გამოყენებით და არა ძირითადი გატარებების ეკრანში.

დაუბრუნდეთ შპს “დარიალი” - ს ოპერაციებს. როგორც გახსოვთ, ორგანიზაცია შედგება ორი თანამშრომლისგან: დირექტორი - ვ.ზ.თარხნიშვილი და მთ.ბუღალტერი - ი.კ.ლომიძე, რომელთაც ერიცებათ ხელფასი შესაბამისად - 240 ლარი და 150 ლარი.

განვიხილოთ, როგორ ხდება პროგრამაში თანამშრომელთა ბარათების შედგენა, ხელფასის დარიცხვა, ანგარიში და დარიცხვების უწყისის მიღება.


ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციები სრულდება ხელფასის ეკრანში. გამოიძახეთ იგი ლილავით -  “კადრები/ხელფასი Ctrl+7”. იხილავთ ეკრანს:



კოდი	No	განყოფილება	თანამშრომელი	თანამდებობა	კალატი	მისაგარეთი	ინფორმაცია	ბიზნესი	ბიზნესის სახელი	ორბიტი ნომერი

როგორც ხედავთ, ეს ეკრანი შედგება ორი ნაწილისგან. ზედა ნაწილში იქნება თანამშრომლების გვარები და რეკვიზიტები, ხოლო ქვედა ნაწილში გამოჩნდება ზემოთ მონიშნული თანამშრომლის მონაცემები.

თანამშრომლის ბარათის შესაქმნელად უნდა ისარგებლოთ დამატების ლილავით. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:



დამატება

თანამშრომელი | მისაგარეთი | სასაბუღალტრო მონაცემები | განა

კოდი: 0001

გვარი: თარხნიშვილი

სახელი: ვახტანგი

გამის სახელი: ზაკარია

განყოფილება: [...]

რეგისტრაციის ნომერი: 1 (საბუღალტრო ნომერი)

დაბადების თარიღი: 6.12.1971

მოსვლის თარიღი: 1.06.2005

თანამდებობა: დირექტორი

კომპანია: [...]

OK Cancel

შემდეგ აირჩიეთ ბარათი “მისამართი” და შეავსეთ მაგალითად, შემდეგნაირად:

ხოლო ბარათი “საპასპორტო მონაცემები”, მაგალითისთვის შეავსეთ შემდეგნაირად:

მომდევნო ბარათია “ბანკი”, რომელიც უნდა შეავსოთ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასებს გასცემთ პლასტიკური ბარათების მეშვეობით (ასეთი შემთხვევა დაწვრილებით განხილულია მე-10 თავში “ხელფასი”).

დააჭირეთ **OK** - ს. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ დამატებულ თანამშრომელს ყველა რეკვიზიტით:

ზუსტად იგივე წესით დაამატეთ მთ.ბუღალტერი - ი.კ. ლომიძე, რომლის რეკვიზიტები შეავსეთ მაგალითად შემდეგნაირად:

დაასრულეთ მონაცემების შეტანა **OK** - ს საშუალებით. ეკრანზე იხილავთ კადრების სიას.

ამის შემდეგ შესაძლებელია თითოეულ მათგანზე ხელფასის მონაცემების შეტანა. ამისათვის, მონიშნეთ ჯერ თანამშრომელი - თარსნიშვილი, შემდეგ ეკრანის ქვედა ნაწილში სვეტში “**A დარიცხული**” იანვრის თვეში ჩანერეთ 240 და დააჭირეთ **Enter** - ს. შემდეგ მონიშნეთ მეორე თანამშრომელი და იგივე წესით შეიტანეთ მასზე დარიცხული ხელფასი - 150 ლარი. ეკრანის ქვედა ნაწილში იხილავთ თანამშრომლებზე შესაბამისად დარიცხულ ხელფასებს:

წელი	თვე	უწყისი	მნიშვნელობა
2006	ივნისი	სელფასი	1

როგორც ეკრანზე ხედავთ მონიშნულია **“დარიცხვის ფორმა”**. თუ დააჭერთ **OK** - ს, ეკრანზე იხილავთ შესაბამის დოკუმენტს:

ესლა გადავიდეთ სელფასის დანაგარიშებზე. ამისათვის, გამოიყენეთ ლილავი - **“სელფასის ანგარიში - F7”**. იხილავთ პატარა ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:


ე.ი. პროგრამა დაითვლის 2006 წლის ივნისის თვის სელფასის უწყისის ნომრით - 1. **OK** - ზე დაჭერით დაინება სელფასის დათვლა, რომლის დასრულების შემდეგ გააქტიურდება ბარათი **“სელფასის უწყისი”**, სადაც იხილავთ სრულ ინფორმაციას დათვლილი სელფასის შესახებ:

NN №	თანაგეგმვითი მანათლიანი	მუშაობის	სულ	მართ	მართ	საბიუჯეტო	ჯამი	მართ	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი
1	საბიუჯეტო	240.00	240.00	240.00	28.80	28.80	211.20					
2	სელფასი	150.00	150.00	150.00	18.00	18.00	132.00					


ანუ ფორმაში მოცემულია დათვლილი სელფასის სრული ინფორმაცია ყველა თანამშრომლისთვის. თუ გსურთ დაბეჭდვა, ისარგებლეთ ბეჭდვის ლილავით. ჩვენს შემთხვევაში დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე. პროგრამა დაგაბრუნებთ წინა ეკრანზე (ბეჭდვის ეკრანი), სადაც შეგიძლიათ დაბეჭდოთ სხვა ფორმებიც. მაგალითად, თუ გსურთ ერთი კონკრეტული თანამშრომლისთვის დაბეჭდოთ დარიცხვის, სელფასის ან თანამშრომლის ბარათის ფორმა, ამისათვის, უნდა აირჩიოთ **“თანამშრომლის ბარათი”**. ეკრანზე იხილავთ თანამშრომლების სიას:

NN	თანაგეგმვითი მანათლიანი	მუშაობის	სულ	მართ	მართ	საბიუჯეტო	ჯამი	მართ	ჯამი	ჯამი
1	საბიუჯეტო	240.00	240.00	240.00	28.80	28.80	211.20			
2	სელფასი	150.00	150.00	150.00	18.00	18.00	132.00			

ამ ინფორმაციის დაბეჭდვა საბუღალტრო დოკუმენტის სახით შესაძლებელია ბეჭდვის ლილავის გამოყენებით. თუ აირჩევთ ამ ლილავს, იხილავთ ეკრანს:



დავბეჭდოთ მაგალითად, ლომისის ბარათი. ამისათვის, უნდა მონიშნოთ შესაბამისი თანამშრომელი და ველი "თანამშრომლის ბარათი". შემდეგ დააჭირეთ OK - ს, ეკრანზე იხილავთ შესაბამის დოკუმენტს:




დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე. პროგრამა კვლავ დაგაბრუნებთ წინა ეკრანზე, რომელზეც დააჭირეთ Cancel - ს.


პროგრამა საშუალებას გაძლევთ, ავტომატურად შეარულოთ ხელფასთან დაკავშირებული დარიცხვების ყველა გატარება. ამისათვის, უნდა ისარგებლოთ ხელფასის უწყისის ეკრანში არსებული ღილაკით -



"ხელფასის გატარებები". იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




გატარებების შესასრულებლად დააჭირეთ OK - ს. პროგრამის მიერ შესრულებული ხელფასის გატარებების ნახვას შესძლებთ როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში, სადაც როგორც აღვნიშნეთ თავს იყრის პროგრამის ყველა ეკრანიდან შესრულებული ოპერაციების გატარებები, ასევე სამეურნეო ოპერაციების ეკრანში, სადაც გაჩნდება შესაბამისი შესრულებული ოპერაციის ჩანაწერი და თუ მონიშნავთ ამ ჩანაწერს და აირჩევთ ბარათს "გატარებები", ეკრანზე იხილავთ:




როგორც ხედავთ, ხელფასის ოპერაციამ შეასრულა სამი საბუღალტრო გატარება, რითაც დაფიქსირდა ორგანიზაციის გარკვეული ვალდებულებები და რომლებიც აისახა კიდევ შესაბამის ანგარიშებზე.


პერსონალზე ხელფასის გასაცემად, გატარებების ეკრანიდან ხელით უნდა შეასრულოთ შესაბამისი გატარება, ან ისარგებლოთ პროგრამაში გაშვებული ოპერაციით, რომელიც ავტომატურად შეასრულებს საჭირო გატარებას. ეს ოპერაცია მოცემულია სამეურნეო ოპერაციებში, დაჯგუფებაში "სალარო / ბანკი", დასახელებით "საწარმოს პერსონალზე ხელფასის გაცემა".



ამ ოპერაციის შესასრულებლად დააჭირეთ მის წინ მოთავსებულ ნიშანს - . მოცემულ ეკრანზე თარიღის მითითების შემდეგ გადადით დიალოგის მომდევნო ეკრანზე შესაბამისი ლილავით. იხილავთ ეკრანს:



სადაც, პროგრამა ავტომატურად გაჩვენებთ გასაცემი ხელფასის თანხას. შესაბამისი ლილავით გადადით დიალოგის შემდეგ ეკრანზე, სადაც პროგრამა ითხოვს სალაროს გასავლის ორდერის ნომერს. მიუთითეთ მაგალითად, 7 და გადადით მომდევნო ეტაპზე, სადაც პროგრამა ავტომატურად დააფორმირებს სალაროს გასავლის ორდერს:



დაბეჭდეთ ეს ფორმა ან დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე. ბოლოს დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ლილავით.

ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება შესრულებული ოპერაციის ტექსტი, ხოლო ბარათში "გატარებები", გამოჩნდება ამ ოპერაციის შესაბამისი გატარება.

ესლა შევასრულოთ შპს "დარიალი" - ს მე-7 ოპერაცია. როგორც გახსოვთ, თვის ბოლოს ორგანიზაციამ საგადასახადო ინსპექციაში წარსადგენად მოამზადა ფინანსური პირებზე დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური განგარიშება. ენახოთ, პროგრამის მეშვეობით როგორ ხდება ამის შესრულება.


პროგრამაში არსებობს ყველანაირი საბუღალტრო ფორმა, რომელიც ავტომატიზებულია, რაც ნიშნავს, რომ ეს ფორმები ავტომატურად შეიცვება პროგრამაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.

რადგანაც ჩვენს შემთხვევაში უნდა შევივსოთ ფორმა ყოველთვიური (ივნისის თვის) განგარიშებისთვის. ამისათვის, საჭიროა პროგრამაში ჯერ დააყენოთ ანალიზური პერიოდი შესაბამისი თვისთვის (დანვრილებით


ანალიზური და საოპერაციო პერიოდების დანიშნულება პროგრამაში აღწერილია მე-4 თავში “ანალიზური და საოპერაციო პერიოდები”).

ანალიზური პერიოდის შესაცვლელად უნდა ისარგებლოთ პროგრამაში ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებული ლილავით -

ანალიზური პერიოდი 1.01.2006 - 1.01.2007
 საოპერაციო პერიოდი 1.01.2006 - 1.01.2007. იხილავთ ეკრანს, სადაც თვეების ჩამონათვალი მონიშნეთ “იენისი”:




ამით, პროგრამას ეუბნებით, რომ გაფილტროს მონაცემები მონიშნული თვის მიხედვით. დააჭირეთ **OK** - ს.


ესლა პროგრამას შევავსებინოთ საჭირო ფორმა. ამის გაკეთებას შესძლებთ ლილავით -  “უწყისის ფორმირება **Ctrl+6**”. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, რომელიც უკვე შეგხვდათ სალაროს შემოსავლის ორდერის შევსებისას. ამ შემთხვევისთვის გახსენით საქალაქდ **Saboolo formebi**. ეკრანზე იხილავთ:




აქ მონიშნეთ საქალაქდ **Axali**, ხოლო მომდევნო ეკრანში **Shevsebuli**. იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანზე მოცემულია პროგრამაში ახალი ანგარიშთა გეგმისთვის ავტომატურ აწყობილი საბოლოო ფორმები. მონიშნეთ ჩანანერი - **piz-ikur pirebze dakavebuli sashemosavlo gadasaxadis koveltviuri gaangarisheba.rl** და გახსენით ეს ფორმა შესაბამისი ლილავით ან “თაგვი” - ს მარცხენა ლილავზე ორჯერ დაჭერით. იხილავთ პატარა ეკრანს:



სადაც მონიშნეთ “**ეკრანზე**”, რათა შევსებული ფორმა ვნახოთ ჯერ ეკრანზე, ხოლო შემდეგ სურვილის მიხედვით დაებეჭდოთ. დააჭირეთ **OK** - ს. იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:



რადგანაც იენისის თვის ხელფასი უკვე დათვლილია და შესაბამისი გატარებებიც შესრულებულია, დააჭირეთ **OK** - ს. რის შემდეგაც იხილავთ შეკითხვის ეკრანს, რომელიც საჭიროა ამ ფორმის შესავსებად, სადაც მაგალითისთვის აკრიფეთ **!**:



ამ ეკრანზეც დაჭირეთ OK - ს. რის შემდეგაც პროგრამა გკითხავთ, თუ რა ტიპის ორგანიზაციისთვის ივსება ეს ფორმა:

საქართველოს სსრ-ის (ორგანიზაცია)
 უმეტესად დაწარმნი
 ინფორმაციის
 სსსპ-ის დაწარმნი

სადაც აირჩიეთ “საქართველოს სსრ-ის(ორგანიზაცია)”. ამის შემდეგ ეკრანზე იხილავთ დათვლილი და გაცემული ხელფასის შედეგად მიღებულ ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული სამუშაოს ვალდებულების ყოველთვიური განგარიშების ფორმას :

დასახელება	დღი (ლარი)	წლიური (ლარი)	პენსია
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11	46.80	46.80	
12			
13			

განგარიშების მეორე გვერდის სანახავად ველში - გვერდი 1 მიუთითეთ 2. ეკრანზე იხილავთ:

თნების დასახელება	დასახელება	თნების (ლარი)	დასახელება
1	2	3	4
30.09.2006	ხელფასი	390.00	46.80
სულ:		390.00	46.80

N	დასახელება	დასახელება	დასახელება	დასახელება	დასახელება
1	2	3	4	5	6
სულ:		X	X	X	X

დასახელება	დასახელება	დასახელება
1	1,430.00	
2		
3		
4	240.00	
5	150.00	

თუ გსურთ დაბეჭდვა, ისარგებლეთ შესაბამისი ლილვით ან დახურეთ ეკრანი ბეჭდვის გარეშე.

ამით დასრულდა შპს “დარიალი” - ს ოპერაციები.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, პროგრამა საშუალებას გაძლევთ მასში შესრულებული გატარებების მიხედვით ნახოთ და დაბეჭდოთ თუ

რა მდგომარეობა ანგარიშებზე (ნაშთები, ბრუნვები, ბარათი). გარდა ამისა, პროგრამაში გათვალისწინებულია საცდელი ბალანსის და მოგება-ზარალის ავტომატურად მიღების საშუალება.

ამ უწყისების მისაღებად გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა. ხოლო შემდეგ აირჩიეთ ბარათი “შედგები”. ეკრანზე იხილავთ სტანდარტული სახის საცდელ ბალანსს:

აკოდები	შანსა	აკოდები და აღწერა	შანსა
1100	2,559.00	3320	46.00
1200	1,227.00	3380	257.40
1410	594.40	3370	70.00
3340	423.00		382.20
	4,994.20		
1610	1,050.00	5100	6,000.00
	1,050.00	5330	338.00
	6,044.20		5,662.00
			6,044.20

ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშების მისაღებად უნდა აირჩიოთ შესაბამისი ბარათი - “მოგება-ზარალი”. შევსებულ ფორმას ექნება შემდეგი სახე:

აქტივები	შანსა	პასივები	შანსა
რეალური კარგი	1,300.00		1,430.00
აღმოსტრიალებული ხარჯები	468.00		
ჯამი	1,768.00		1,430.00
საპროგრამო მართვა	338.00		

როგორც ეკრანზე ხედავთ შპს “დარიალი” - ს საქმიანობიდან გვაქვს ზარალი - 338 ლარი.

ამრიგად, თქვენ გაცვანით სისტემის “ორის - ბუღალტერია” მინიმალურ შესაძლებლობებს. მომდევნო თავებში დაწვრილებით არის აღწერილი თითოეული ეს შესაძლებლობა ყველა იმ “ინსტრუმენტების” თანხლებით, რომელთა საშუალებითაც შესძლებთ მოარგოთ სისტემა თქვენი ორგანიზაციის მოთხოვნილებებს.